

# დისოციაციური აშლილობების განვითარების მიზეზები საქართველოში

მაგისტრანტი : მარიამ ლოღელიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების  
და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქიკური ჯანმრთელობის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მახაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი - მარიამ ლოღელიანი

ხელმოწერა: მ. ლოღელიანი

თარიღი: 26.06.17

## აბსტრაქტი

დისოციაციური აშლილობა ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევის ერთ-ერთი მძიმე ფორმაა. ის, ისევე როგორც სხვა აშლილობები, იწვევს ადამიანის დისკომფორტს, ყოველდღიური რიტმიდან ამოვარდნას და შესაძლებლობების შეზღუდვას. მსოფლიოში მრავალი კვლევა ტარდება იმის დასადგენად თუ რა იწვევს დისოციაციურ აშლილობებს. როგორც წესი კვალს ბავშვობის პერიოდში მძიმე, ტრავმულ გამოცდილებასთან მივყავართ. მსგავსი კვლევები ჩვენ ქვეყანაში არ ჩატარებულა. საჭიროა კარგად გავიგოთ დისოციაციური აშლილობის ეტიოლოგია, რათა შესაბამისად დავგეგმოთ ჩარევის და მკურნალობის გზები.

**კვლევის მიზანი:** ქართველი სტუდენტების შერჩევაში გამოვიკვლიოთ ბავშვობის პერიოდის ტრავმული გამოცდილების კავშირი მოზარდობაში დისოციაციური აშლილობის ნიშნების განვითარებასთან და დავადგინოთ ამ ორი ცვლადის მიმართება პოსტტრავმული სტრესული აშლილობის ნიშნებთან.

კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგია რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტებს მოიცავს. ეს ინსტრუმენტებია -1. ბავშვობის დროს გადატანილი ტრავმული მოვლენების სკალა (The Childhood Traumatic Events Scale (Pennebaker & Susman, 1988)), რომელიც ზომავს ბავშვობის პერიოდში მძიმე გამოცდილებას, ისეთების როგორიცაა სხვადასხვა სახის ძალადობა, უგულვებელყოფა, ახლობელი ადამიანების გარდაცვალებით მიღებული ტრავმა და ა.შ. , 2-დისოციაციური გამოცდილების შკალას (DES), რომელიც ზომავს დისოციაციურ სიმპტომებს; 3-პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობის (პტსა) საკონტროლო სია (PCL 5), რომელიც ზომავს პოსტტრავმული სტრესული აშლილობის (პტსა) ნიშნებს DSM-5 კლასიფიკატორის შესაბამისად.

კვლევის მონაცემების დამუშავების შედეგად მივიღეთ შემდეგი: ბავშვობის პერიოდის ტრავმული გამოცდილება კავშირშია ზრდასრულობაში დისოციაციური აშლილობის ნიშნებთან ( $r = .368, p < .01$ ); ბავშვობის ტრავმა კავშირშია პტსა-ის ნიშნებთან ( $r = .322, p <$

.01); და ასევე პტსა-ის ნიშნები ძლიერ კორელაციაშია დისოციაციური აშლილობის ნიშნებთან ( $r = .619, p < .01$ ).

გამომდინარე შედეგებიდან, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბავშვობის ტრავმა ერთ-ერთი რისკფაქტორია მოზრდილობაში ისეთი ფსიქიკური აშლილობების განვითარების, როგორებიცაა პოსტტრავმული სტრესული აშლილობა და დისოციაციური აშლილობა.

**ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები :** დისოციაცია, ტრავმა/პოსტ ტრავმული სტრესული აშლილობა, ბავშვობის მძიმე გამოცდილება.

## Abstract

Dissociative Disorder is one of the most severe forms of mental health disorder. It, as well as other disorders, causes a person's discomfort, disturbance of daily routine and invalidity. Many research in the world is conducted to determine what causes Dissociative Disorders. As a rule, the trail leads to severe and traumatic experience during childhood. There have not been conducted similar studies in our country. To plan and interfere with the treatment it is necessary to understand the etiology of Dissociative Disorder.

The aims of the research: to study relationship between childhood trauma exposure and the development of symptoms of dissociation in the adolescence in Georgian students' selection and to determine the two variables' connection with symptoms of Posttraumatic Stress Disorder.

We have used quantitative research methods. These instruments are -1. The Childhood Traumatic Events Scale (Pennebaker & Susman, 1988)), which measures childhood abuse, such as various forms of violence, neglect, traumatic death of close people, and etc. , 2-Dissociation Experience Scale (DES), which measures dissociation symptoms; 3-Post-Traumatic Stress Disorder (PTSD) Control List (PCL 5), which measures the symptoms of Posttraumatic Stress Disorder (PTSD) in accordance with the DSM-5 classifier.

As a result of the research data, we have obtained the following: The Childhood trauma exposure is associated with symptoms of Dissociative Disorder ( $r = .368$ ,  $p < .01$ ); Childhood trauma is associated with PTSD symptoms ( $r = .322$ ,  $p < .01$ ); And PTSD symptoms are strongly correlated with Dissociative disorder symptoms ( $r = .619$ ,  $p < .01$ ).

Based on the results, we can assume that childhood trauma is one of the risk factors for developing mental disorders such as Posttraumatic Stress Disorder and Dissociative Disorder.

**Key Words:** dissociation, trauma/ Posttraumatic Stress Disorder, Childhood Abuse.

## მადლობა

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში გაწეული წვლილისათვის მადლობას ვუხდის პირველ რიგში ჩემს ხელმძღვანელს ნინო მახაშვილს, მისი მხრიდან გაწეული მხარდაჭერისა და დახმარებისთვის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, და მეგობრებს, რომელთა დახმარებითაც მოხდა კითხვარის გავრცელება სტუდენტებში, თითოეულ რესპოდენტს, რომელმაც მიიღო მონაწილეობა კვლევაში.

რაოდენობრივი ინფორმაციის სტატისტიკურად დამუშავების პროცესში გაწეული დახმარებისთვის მადლობა თამარ ჩხაიძეს.

თარიღი: 26.06.17